მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო (Bench & Bar)

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

მუხლი 1. საქმიანობის მიზნები

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში - საკოორდინაციო საბჭო) მიზანია სისხლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალწარმოებაში მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა და კანონის უზენაესობის განმტკიცება იურიდიულ პროფესიათა (მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები) შორის რეგულარული შეხვედრების ორგანიზების, პრობლემების განხილვის, ინფორმაციის ურთიერთგაზიარების, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების, იურიდიულ პროფესიათა დეონტოლოგიის ერთიანი სტანდარტების დანერგვის, რეკომენდაციებისა და საკანონმდებლო წინადადებების შემუშავების გზით.

მუხლი 2. საკოორდინაციო საბჭოს სტრუქტურა, შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების წესი

2.1. საკოორდინაციო საბჭო შედგება მმართველი კომიტეტის, თემატური სექციებისა და სამდივნოსაგან.

2.2. მმართველი კომიტეტი
2.2.1. მმართველი კომიტეტი განსაზღვრავს საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს და საერთო ზედამხედველობას უწევს საბჭოს მუშაობას.
2.2.2. მმართველი კომიტეტის შემადგენლობაში შედიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე და საქართველოს გენერალური პროკურორი.
2.2.3. მმართველი კომიტეტის შეხვედრები იმართება საჭიროებისამებრ.

2.3. თემატური სექციები
2.3.1. საკოორდინაციო საბჭოში იქმნება თემატური სექციები სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.
2.3.2. თემატური სექციების შემადგენლობა:
2.3.2.1. სისხლის სამართლის თემატური სექციის შემადგენლობაში შედიან მინიმუმ 3 წლის პროფესიული გამოცდილების მქონე მოქმედი მოსამართლეები ყველა ინსტანციიდან,

პროკურორები და ადვოკატები, რომელთაც სექციაზე განსახილველ საკითხთა შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, წარადგენენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს გენერალური პროკურორი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, თითოეული პროფესიის თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის საფუძელზე.

2.3.2.2. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის თემატური სექციის შემადგენლობაში შედიან მინიმუმ 3 წლის პროფესიული გამოცდილების მქონე მოქმედი მოსამართლეები ყველა ინსტანციიდან და ადვოკატები, რომელთაც სექციაზე განსახილველ საკითხთა შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, წარადგენენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, თითოეული პროფესიის თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის საფუძელზე.

2.3.3. თემატური სექციების წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს მმართველი კომიტეტი. თემატური სექციები შეიძლება შეიქმნას ასევე, კონკრეტული სამართლებრივი საკითხისა ან/
და რეგიონული პრინციპის მიხედვით.

2.3.4. თემატური სექციები ახორციელებს პრობლემური სამართლებრივი საკითხების იდენტიფიცირებას და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და რეკომენდაციებისა თუ საკანონმდებლო წინადადებების შემუშავების მიზნით მართავს მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატთა გაფართოვებულ შეხვედრებს (Bench-Bar შეხვედრებს).

2.3.5. თემატური სექციის მუშაობას კოორდინაციას უწევს მმართველი კომიტეტი.

2.3.6. თემატური სექციის გადაწყვეტილებით, საჭიროებისამებერ, სექციის სამუშაო სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იყვნენ პარლამენტის, აკადემიური წრეების, საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და სამთავრობო უწყებების, პარტნიორი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

2.3.7. თემატური სექციების შეხვედრები იმართება საჭიროებისამებრ, როგორც წესი, 3 თვეში ერთხელ.

2.3.8. თემატური სექცია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ თითოეული პროფესიის მინიმუმ 3 წარმომადგენელი, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება პროფესიათა შორის კონსენსუსის პრინციპით ერთხმივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.4. სამდივნო

2.4.1. მმართველი კომიტეტისა და თემატური სექციების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სამდივნო.

2.4.2. სამდვინო შედგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს გენერალური პროკურატურის და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ნომინირებული თითო წევრისგან, რომლებიც ამავდროულად არიან აღნიშნული უწყებების მოქმედი თანამშრომლები.

მუხლი 3. საკოორდინაციო საბჭოს წევრობა

3.1. საკოორდინაციო საბჭოს წევრები არიან ის მოქმედი მოსამართლეები, ადვოკატები და პროკურორები, რომლებიც შედიან თემატური სექციების შემადგენლობაში. საკოორდინაციო საბჭოს დამკვირვებელი წევრი შეიძლება იყოს ასევე, სხვა იურიდიული პროფესიის და აკადემიური-სამეცნიერო წრეების წარმომადგენელი.

3.2. საკოორდინაციო საბჭოს თემატური სექციის წევრები შეირჩევიან ამ დებულების 2.3.2. მუხლის შესაბამისად. შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნება კანდიდატის პრაქტიკული და აკადემიური გამოცდილება, ასევე კანდიდატის შესაძლებლობა წარმოადგინოს

პროფესიონალთა ფართო ჯგუფის მოსაზრებები მართლმსაჯულების აქტუალური საკითხების განხილვისას.
3.3. საკოორდინაციო საბჭოს წევრობა ეფუძნება საზოგადოებრივ საწყისებს და არაანაზღაურებადია.
3.4. საკოორდინაციო საბჭოს წევრები თემატური სექციის სხდომებზე თავისუფალნი არიან გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სამართლებრივ საკითხებზე, რა დროსაც არ არიან შეზღუდული საკუთარი უწყების ოფიციალური პოზიციით. ამასთან, საკოორდინაციო საბჭოს წევრების მიერ გამოთქმული პირადი მოსაზრებები არ შეიძლება მიიჩნეულ იქნას შესაბამისი უწყებების ოფიციალურ პოზიციად.
3.5. საკოორდინაციო საბჭოს (თემატური სექციების) წევრობის შეწყვეტა ხდება მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით. წევრობის შეწყვეტის საფუძველია:

ა. წევრის პირადი განცხადება;
ბ. ადვოკატის, მოსამართლის ან პროკურორის სტატუსის დაკარგვა/შეჩერება;
გ. საკოორდინაციო საბჭოს სხდომებზე ზედიზედ სამჯერ გამოუცხადებლობა;
დ. პროფესიულ ეთიკასთან შეუსაბამობა.

მუხლი 4. საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრების ორგანიზება

4.1. საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები იმართება სასამართლოს, ადვოკატთა ასოციაციისა ან პროკურატურის მიერ გამოყოფილ ადგილას რიგითობის პრინციპის გათვალისწინებით, ან სხვა ადგილას მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით. საჭიროებისამებრ, საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები შესაძლოა გაიმართოს დისტანციური (ელექტრონული) ფორმით.
4.2. საკოორდინაციო საბჭოს წევრებს შეხვედრამდე გონივრული ვადით ადრე სამდივნოს მეშვეობით ეცნობებათ შეხვედრის დრო და დღის წესრიგი.
4.3. განსახილველი საკითხების სია შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი, სისტემური ხასიათის პრობლემატიკით და არ დაიშვება რეალური/მიმდინარე საქმეების ან კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვა. კონკრეტულ საქმეში არსებული სამართლებრივი პრობლემა შეიძლება განხილული იქნას მხოლოდ განზოგადებული სახით, საქმის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (მხარეები, განმხილველი მოსამართლე, საქმეში მონაწილე პროკურორი, ადვოკატი ა. შ) გამჟღავნების გარეშე.
4.4. სექციის სხდომაზე/სექციის გაფართოვებულ სხდომაზე საკითხის განხილვისას შესაძლებელია დაინიშნოს მომხსენებელი, რომელიც კონკრეტულ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგენს პრეზენტაციას/კვლევას.

მუხლი 5. სხდომის ოქმები

5.1. საკოორდინაციო საბჭოს სხდომების მიმდინარეობა აისახება სხდომის ოქმში, რომლის წარმოებას უზრუნველყოფს სამდივნო, რომელიც ვალდებულია ყოველი სხდომის დასრულებიდან 1 კვირის ვადაში სხდომის ოქმი მიაწოდოს საკოორდინაციო საბჭოს მმართველ კომიტეტს და შესაბამისი თემატური სექციის წევრებს.
5.2. სხდომის დისტანციური (ელექტრონული) ფორმით გამართვის შემთხვევაში სხდომის მიმდინარეობა აისახება აუდიო/ვიდეო ოქმში.

მუხლი 6. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებები და მათი მიღების წესი

6.1. საკოორდინაციო საბჭოს თემატური სექციების საქმიანობის საბოლოო შედეგები აისახება გადაწყვეტილებებში, რომელიც ფორმდება მოსაზრების, რეკომენდაციის, გზამკვლევის ანდა საკანონმდებლო წინადადების ფორმით.
6.2. საკოორდინაციო საბჭოს თემატური სექციის წევრი, რომელიც დაინტერესებულია, რომ მის მიერ წამოჭრილი წინადადება მიღებული იქნას თემატური სექციის მიერ განსახილველად, ვალდებულია სექციაში წერილობით წარმოადგინოს შესაბამისი მოსაზრების, რეკომენდაციის, გზამკვლევის, საკანონმდებლო წინადადების პროექტი.
6.3. თემატური სექციის მიერ თითოეულ საკითხზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება იურიდიულ პროფესიათა შორის კონსენსუსის გზით.
6.4. საკითხებზე, რომელიც თავისი არსით ეხება იურიდიული პროფესიის ყველა სპეციალიზაციის წარმომადგენელს (მაგ. დეონტოლოგია), მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით ან/და ერთ-ერთი სექციის ინიციატივით შეიძლება გაიმართოს თემატურ სექციათა გაერთიანებული შეხვედრები.
6.5. თემატური სექციების საქმიანობის შედეგები საბოლოოდ დასამტკიცებლად და მისი შესრულებისათვის სათანადო ღონისძიებების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად ეგზავნება მმართველ კომიტეტს.

მუხლი 7. საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის გამჭირვალობა

7.1. სამდივნო უზრუნველყოფს საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრების, განსახილველი საკითხების, ასევე ერთობლივად შეჯერებული და მიღებული მოსაზრებების, რეკომენდაციების, გზამკვლევებისა და საკანონმდებლო წინადადებების პროექტების გამოქვეყნებას საერთო სასამართლოების, ადვოკატთა ასოციაციისა და პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.
7.2. თემატური სექციების გადაწყვეტილებით, შეიძლება გაიმართოს სექციის ღია სხდომა, რომელზე დასწრების უფლებაც ექნებათ დაინტერესებულ პირებს.
7.3. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება საკოორდინაციო საბჭოს მიაწოდოს საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები ელექტრონულად, საბჭოს ინტერნეტ-მისამართზე.

დავით ასათიანი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით	**ნინო ქადაგიძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელით	**ირაკლი შოთაძე** საქართველოს პროკურატურის სახელით